

ვლადიმერ კაკაბაძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	8
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	8
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	9
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	10
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	14

1997-2006 წლებში ვლადიმერ კაკაბაძე სხვადასხვა კომპანიაში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2006 წელს იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატის სამდივნოს კონსულტანტი იყო. 2006-2016 წლებში ვლადიმერ კაკაბაძე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეა. 2016 წელს იგი 3 წლის ვადით განწესდა იმავე პოზიციაზე, ხოლო 2017 წლიდან უვადოდ დაინიშნა ამავე თანამდებობაზე. 2019 წლის 15 ივლისიდან ვლადიმერ კაკაბაძე სამოსამართლო უფლებამოსილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში ახორციელებს.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

კანდიდატს განხილული აქვს ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე, რომელსაც საზოგადოება „ფილიპ მორისის“ საქმედ იცნობს. აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებას, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქვემოთ, დეტალურად გავაანალიზებთ.

- **„ფილიპ მორისის საქმე“**[1]

სამართლებრივი საკითხი: დემპინგი. საბაზრო კონკურენცია. მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ფაქტები: მოსარჩელემ, სს „თბილისის თამბაქომ“ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა შპს „ფილიპ მორის საქართველოსა“ და „სს „ფილიპ მორის ეს.ეის“ წინააღმდეგ. მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეების მიერ დემპინგით მიყენებული დიდი ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა 2013-2015 წლებში მოპასუხეთა მხრიდან „უკანონო“ მოქმედებებით (დემპინგით), კონკურენტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ხოლო ყველა სხვა მოთხოვნა უკავშირდებოდა და გამომდინარეობდა ამ ძირითადი მოთხოვნიდან.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ შპს „ფილიპ მორის საქართველო“ და სს „ფილიპ მორის ეს.ეი“ წლების განმავლობაში არღვევდნენ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს (საქართველოს კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“, საქართველოს კანონი„კონკურენციის შესახებ“), სიგარეტს ყიდდნენ თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად, რაც, მისი მოსაზრებით, წარმოადგენდა დემპინგს და რითაც მოსარჩელეს მიაყენეს ზიანი - ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა მათი გაყიდვები, შემოსავლები და წილი ბაზარზე. უფრო კონკრეტულად:

მოსარჩელის პოზიციით

- 2013 წლის 1 სექტემბრიდან, მოპასუხეები ყიდდნენ სხვადასხვა სახის სიგარეტს თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, რითაც არღვევდნენ არა მხოლოდ კანონს, არამედ ზიანს აყენებდნენ სს „თბილისის თამბაქოს“. ზიანი ვლინდება იმაში, რომ მოსარჩელე კომპანიის გაყიდვები პრაქტიკულად განახევრდა და შემცირდა მისი საბაზრო წილი;
- 2013 წლის 1 სექტემბრიდან, ანუ მას შემდეგ რაც მოპასუხეებმა დაიწყეს სიგარეტების გაყიდვა თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, მოსარჩელის გაყიდვები და, შესაბამისად, შემოსავლები იმ კლასის სიგარეტებზე, რომელსაც მოპასუხეები ყიდიან დემპინგურ ფასად, განსაკუთრებულად შემცირდა;

---

[1] **თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/4760-16**

- დემპინგურმა ფასებმა (თვითღირებულებაზე დაბალმა ფასებმა) თამბაქოს ნაწარმის ბაზარზე ასევე გამოიწვია კომპანიის წილის შემცირება 15%-დან 5%-მდე, ხოლო დემპინგის განმახორციელებელი პირების წილი 30%-35%-დან გაიზარდა 45-48%-მდე;

ამიტომ, მოსარჩელე სასამართლოში ითხოვდა:

- 8 571 954 ლარის ანაზღაურებას, ძირითადი ზიანის სახით;
- 8 571 954 ლარის წლიური 10%-ის ანაზღაურებას 2015 წლის 1 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე მიუღებელი შემოსავლის სახით. მოსარჩელის პოზიციით, იგი ამ თანხას მიიღებდა საბანკო ანაბარზე მისი განთავსების გზით. მოსარჩელის განმარტებით, 10%-ის დარიცხვა შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის საიტზე განთავსებულ, ანაბარზე არსებულ საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთებს;
- 42 859 770 ლარის ანაზღაურებას იმ **მომავალი 10 წლის განმავლობაში მისაღები შემოსავლისათვის,** რასაც, მოპასუხეთა ქმედების განმგრძობადი ხასიათიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვერ მიიღებდა. ამ მოთხოვნის გასამყარებლად მოსარჩელის წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ მოპასუხეების დემპინგური პოლიტიკის შედეგად მისი მარწმუნებელი კომპანიის წილი 15%-დან შემცირდა 5%-მდე, რის გამოც კომპანიამ განიცადა მრავალმილიონიანი ზიანი, რომელიც განგრძობად ხასიათს ატარებდა. ყოველ ერთ წელზე მიყენებული ზიანი შეადგენდა 4 285 977 ლარს.
- 25 000 000 ლარის ანაზღაურებას **პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად.** მოსარჩელის განმარტების თანახმად, მოპასუხის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების შედეგად შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, საჭირო იყო მრავალწლიანი სარეკლამო კამპანია და მრავალმილიონიანი სარეკლამო დანახარჯები. კერძოდ, ბილბორდებისა და ბანერების მოწყობა, პრომო აქციების, სასაჩუქრე აქსესუარების, ინვენტარის და პროდუქციის, ღონისძიებების მოწყობა და სპონსორობა 10 წლის განმავლობაში;
- **უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლების** ანაზღაურებას 15 000 000 ლარის ოდენობით. უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლების ანაზღაურება გამომდინარეობს იმ საფუძვლიდან, რომ მოპასუხეებმა ერთობლივად მიიღეს დაახლოებით იმ ოდენობის სარგებელი, რასაც ისინი ვერ მიიღებდნენ, თუ არ დაარღვევდნენ კანონს და არ შემცირდებოდა მოსარჩელის საბაზრო წილი და გაყიდვები.
- **სასამართლოში საქმის წარმოებისთვის გაწეული ხარჯების,** მათ შორის სახელმწიფო ბაჟის, საადვოკატო მომსახურებისთვის გაწეული ხარჯების და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში გაწეული ხარჯის, ჯამში 15 000 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხეთა პოზიცია:

მოპასუხე „ფილიპ მორის ეს.ეი"-ის პოზიცია:

- სს „ფილიპ მორის ეს.ეი" წარმოადგენდა შვეიცარიის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ და შვეიცარიაში მდებარე იურიდიულ პირს, მის მიმართ საქართველოს სასამართლოს არ გააჩნდა იურისდიქცია და საერთაშორისო კომპეტენცია;
- იგი წარმოადგენდა მხოლოდ შპს „ფილიპ მორის საქართველოს" დამფუძნებელს, თუმცა არ მონაწილეობდა ქართული კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში და გადაწყვეტილებების მიღებაში, რასაც ცალსახად ადასტურებდა შპს „ფილიპ მორის საქართველოს" წესდებაც.
- გამჭოლი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გამოყენებულიყო, როდესაც პარტნიორის მიერ ადგილი ჰქონდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას, რაც მოცემულ შემთხვევაში ვერ ადასტურებდა მოსარჩელე;
- თავისუფალი ბაზრის პირობებში მოქმედ არცერთ კომპანიას არ შეიძლებოდა ჰქონოდა გარანტია იმისა, რომ მისი საბაზრო წილი ან მოგება დარჩებოდა უცვლელი - პირიქით, ეკონომიკურ აგენტებს შორის საბაზრო წილებისა და მოგებიანობის მუდმივი ცვალებადობა წარმოადგენს კონკურენტულ ბაზარზე მოქმედი თითოეული ეკონომიკური აგენტის გააზრებულ, გაცნობიერებულ რისკს.

შპს «ფილიპ მორის საქართველოს“ პოზიცია:

- ექსპერტიზის დასკვნა, რომელზეც მოსარჩელე ამყარებდა საკუთარ პოზიციას, შედგენილი იყო უკანონოდ მოპოვებულ ინფორმაციასა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით;
  - ექსპერტიზის მიერ კომპანიისათვის მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის შესახებ მომზადებული დასკვნები იყო დაუსაბუთებელი და არ ადგენდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მოპასუხის ქმედებასა და მოსარჩელისათვის დამდგარ ზიანს შორის.
- საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა თვითღირებულების ცნებას, შესაბამისად, ბუნდოვანი იყო მოსარჩელის არგუმენტები და ექსპერტიზის დასკვნა, საიდან ითვლებოდა პროდუქციის თვითღირებულება.
- „ფილიპ მორისის“ ბრენდის სიგარეტების საცალო გასაყიდი ფასები სადავო პერიოდში, აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევებში, იყო მაღალი, ვიდრე სს „თბილისის თამბაქოს“ წარმოებული სიგარეტებისა;
- მოპასუხის ბრალი არ იკვეთება მოსარჩელე კომპანიის გაყიდვების და წილის შემცირებაში, ვინაიდან 2015 წლის დეკემბრიდან 2016 წლის აპრილამდე „ფილიპ მორისის“ პროდუქცია სასამართლოს მიერ სხვა საქმესთან დაკავშირებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამო საერთოდ არ იყო წარმოდგენილი საქართველოს ბაზარზე;
- იმ პერიოდში, როდესაც „ფილიპ მორისის“ პროდუქცია არ იყო ბაზარზე, მოსარჩელეს შეეძლო დაეკავებინა მისი ადგილი, კონკურენტის ბაზარზე არყოფნის გამო გაეზარდა საკუთარი გაყიდვები და დაებრუნებინა დაკარგული წილი ბაზარზე, თუმცა, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მენეჯმენტის, მარკეტინგული პრობლემის, პროდუქციის ხარისხის და სხვა ფაქტორების გამო მან ეს ვერ შეძლო, რაც არანაირ კავშირში არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოპასუხესთან;
- უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით მოპასუხე უთითებდა, რომ 2012-2015 წლებში თავად შეუმცირდა გაყიდვები მნიშვნელოვნად და დაკარგა ბაზრის წილი; შესაბამისად, მისი მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, კანდიდატმა ვლადიმერ კაკაბაძემ სრულად გაიზირა მოსარჩელის პოზიცია და, შესაბამისად, სრულად დააკმაყოფილა მისი მოთხოვნები. ვლადიმერ კაკაბაძემ მოპასუხეებს საერთო ჯამში დაახლოებით 92 მლნ ლარის გადახდა დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

კანდიდატის განმარტებით:

- **მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა დაედგინა, ადგილი ჰქონდა თუ არა მოპასუხეების მხრიდან კანონის დარღვევას/მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას და ამავე მოქმედებით რა მოცულობის ზიანი მიადგა მოსარჩელე მხარეს.**

უკანონო/მართლსაწინააღმდეგო ქმედება

- მოსამართლემ მიუთითა კონკურენციის შესახებ კანონის იმ დროს მოქმედი რედაქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინირების შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების, ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა და გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება.
- მოსამართლემ ასევე მიუთითა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც, აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია უფასოდ ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად.

დემპინგი

მოსამართლის განმარტებით:

- **„დემპინგი არის პროდუქციის ან მომსახურების გაყიდვა დანახარჯზე დაბალ ფასად, ბაზრიდან სხვა მონაწილეების გაძევების და ბაზრის ექსპანსიის მიზნით. დემპინგური ფასდადება შეიძლება წარმოდგინდეს „მტაცებლური“ ფასდადების სახით. „მტაცებლური ფასი“ (ე.წ. Predatory Pricing”) კონკურენციის სამართალში ეწოდება ფასს, რომლის დაწესებითაც ეკონომიკური აგენტი საკუთარ თავს აყენებს ზარალს იმ მიზნით, რომ ბაზრიდან გააძევოს კონკურენტები. თუ დომინანტი კომპანია პროდუქტს ბაზარზე სთავაზობს საშუალო მთლიან ხარჯზე მეტ ფასად, მტაცებლური ფასი სახეზე არ გვაქვს, ხოლო თუ დომინანტი კომპანია პროდუქტს ბაზარზე სთავაზობს საშუალო ცვლად ხარჯზე ნაკლებ ფასად, მოქმედებს მტაცებლური ფასების დაწესების პრეზუმფცია“.**

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეები პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებდნენ არა რეალურად გაწეული დანახარჯის და ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით, არამედ თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად; სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ თავდაპირველ სარჩელთან დაკავშირებით დასახელებულ მოპასუხეთა მოქმედების შედეგად სს „თბილისის თამბაქოს“ მიადგა 8 571 954.16 ლარის ოდენობით ზიანი.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

მოსამართლის განმარტებით:

- ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობათა არსებობის დროს: თუ დგინდება ზიანის ფაქტი, იგი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას და თუნდაც ერთ–ერთი მათგანის არარსებობა გამორიცხავს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას;
- ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო;
- მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს;
  - მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეების მხრიდან არასამართლიანი ფასების დაწესებისა და სს „თბილისის თამბაქოს“ პროდუქციის მიმართ არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების შედეგად მოსარჩელეს მიადგა ზიანი 8 571 954.16 ლარი.
  - სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს ეკისრება არა მხოლოდ 2 წლის განმავლობაში მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის/ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების ვალდებულება, არამედ მოპასუხეებს დამატებით უნდა დაეკისროთ 2015 წლის 1 სექტემბრიდან მოსარჩელის მიერ მისაღები განაცდური მოგებაც;
  - მოსარჩელის განმარტება, რომლის მიხედვითაც მას შეეძლო მიეღო შემოსავალი თანხის სხვაგვარად ბრუნვის შემთხვევაში, არის გონივრული და, ამდენად, უნდა დაკმაყოფილდეს 10%-ის დაკისრების ნაწილში. ამასთანავე, აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხემ ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, რაც შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მისი ვალდებულება იყო;

- ზიანის მიყენება გრძელდება და აქვს ხანგრძლივად გაგრძელების პერსპექტივა; ამდენად, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება წლიური 10%-ის ოდენობით, როგორც 2015 წლის 1 სექტემბრის შემდგომ პერიოდზე გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე შემდგომი 10 წლის განმავლობაში სათანადო სამეწარმეო საქმიანობით მისაღები შემოსავლის ასანაზღაურებლად.

პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა

მოსამართლის განმარტებით:

- „ის ფაქტი, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა დემპინგურ პოლიტიკას და აღნიშნული მოქმედება აღკვეთილი არ არის, სასამართლოს უქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მოსარჩელე მხარე გრძელვადიან პერიოდშიც ვერ მოახერხებს გაყიდვების ოდენობისა და ბაზარზე დაკარგული გაყიდვის წილის აღდგენას. დადგენილია, რომ მოსარჩელეს მიადგა ზიანი. შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, მოთხოვნა ფაქტობრივად დამდგარი ზიანის აღმოსაფხვრელად მოპასუხეებზე თანხის დაკისრების ნაწილში არის საფუძვლიანი. სასამართლო იზიარებს მოსარჩელის მითითებას, რომლის მიხედვითაც, თამბაქოს პროდუქციის ბაზარზე მოსარჩელის პოზიციების დასაბრუნებლად მთელი რიგი მარკეტინგული ღონისძიებებია გასატარებელი, რაც სწორედ 25 000 000 ლარს მოითხოვს. აღნიშნულის საპირისპირო გაანგარიშება მოპასუხეს არ წარმოუდგენია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე სწორედ მისი ვალდებულებაა, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეების მიმართ 25 მილიონი ლარის დაკისრების ნაწილშიც დასაბუთებულია სრულად“.

უსაფუძვლოდ გამდიდრება

მოსამართლის განმარტებით:

- „მოცემულ შემთხვევაში სადავო არ გახლავთ მოპასუხის მიერ დემპინგური პოლიტიკის წარმოება წლების განმავლობაში; ასევე სადავო არ გახლავთ, რომ ამან გამოიწვია სს „თბილისის თამბაქოს“ პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების მარჟის შემცირება. როგორც უკვე განიმარტა, სწორედ ეს გახლავთ დემპინგის მიზანი - ბაზრიდან განდევნოს სხვა კონკურენტი საწარმოები. სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედებით სარგებელი მიიღეს სწორედ მოპასუხეებმა, რაც არ მოხდებოდა, რომ არა მათი „გამდიდრება“ თავად მოსარჩელის ხარჯზე. ამდენად, მოთხოვნა ამ ნაწილშიც ექვემდებარება დაკმაყოფილებას“.

მოსამართლემ მოპასუხეებს მთელი ამ ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად დააკისრა.

შენიშვნა: უნდა ითქვას, რომ მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის აღნიშნული გახმაურებული გადაწყვეტილება ბუნდოვანია რამდენიმე მიმართულებით; კერძოდ, საქართველოში არ არსებობს (ანტიდემპინგური) კანონმდებლობა, რაც კონკრეტულად დემპინგის შემთხვევებს დაარეგულირებდა. შესაბამისად, მეწარმე სუბიექტის ქმედების სამართლებრივად დემპინგად შეფასებას ეროვნულ კანონმდებლობაში სამართლებრივი საფუძვლები, შეიძლება ითქვას, არ აქვს. ამიტომ, ბუნდოვანია მოსამართლის მიერ მოპასუხეთა ქმედების დემპინგად კვალიფიკაციის სამართლებრივი საფუძვლები.

რაც შეეხება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ რეგულაციებს - თამბაქოს ნაწარმის უფასოდ და თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციის აკრძალვასთან დაკავშირებულს - აღნიშნული ქმედება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

თანახმად, წარმოადგენს სამართალდარღვევას.[2] მეწარმე სუბიექტის მსგავსი ქმედება არ არის ე.წ. დელიქტი, რომლის შემთხვევაშიც რომელიმე სხვა მეწარმე სუბიექტს წარმოეშობა უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ეს არის სამართლებრივი ურთიერთობა კონკრეტულ მეწარმე სუბიექტსა და სახელმწიფოს შორის, რა დროსაც სახელმწიფო, კონკრეტული რეგულაციის გზით, მეწარმე სუბიექტის მიერ თამბაქოს ნაწარმის უსასყიდლოდ და თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციას მიიჩნევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დაცული მიზნების საწინააღმდეგო ქმედებად და აქცევს ამავე კოდექსის მოქმედების სფეროში. ამ აკრძალვის მიზანია სახელმწიფოს მხრიდან თამბაქოს გავრცელების შეზღუდვა და არა ბაზარზე კონკურენციის საფრთხეების დაზღვევა.

რაც შეეხება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციებს - ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინირების შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვას და შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენას - ბუნდოვანია, რატომ მიიჩნია მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძემ მოპასუხეები დომინირებულ მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკურ აგენტებად და რატომ არ გაამახვილა ყურადღება, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო რიგითი კონკურენცია თავისუფალ ბაზარზე. ამ კონტექსტში მოპასუხეთა პოზიციებზე პასუხი სასამართლოს მსჯელობის მიღმაა- როგორ უდგენდა მოპასუხე მოსარჩელეს არასამართლიან ფასს პროდუქტზე და არასამართლიან სავაჭრო პირობებს, როდესაც მოსარჩელეთა პროდუქცია, სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებად მიჩნეულ მოცემულობაშიც კი (თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაცია) უფრო ძვირი იყო მოსარჩელის პროდუქციაზე.

კიდევ უფრო ბუნდოვანია მოსამართლის მსჯელობა მომდევნო 10 წლის განმავლობაში მისაღებ თანხაზე და ამ თანხის მოპასუხისთვის ზიანის სახით დაკისრების შესახებ. ბუნდოვანია, როგორ, რა მექანიზმითა და გარემოებების გათვალისწინებით, შეძლო მოსამართლემ ამ ზიანის დაანგარიშება და საერთოდ, ამ თანხებთან მოპასუხეთა ქმედების დაკავშირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 09 ივნისის გადაწყვეტილება

აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი: მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად გააუქმა და აპელანტები გაათავისუფლა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.[3]

---

[2] **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 115-ე ტერცია მუხლის მე-13 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე დოკუმენტი N161, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984**

[3] **“სააპელაციო სასამართლომ „ფილიპ მორისი“ 92 მლნ ლარის გადახდისგან სრულად გაათავისუფლა”, ხელმისაწვდომია ლინკზე https://urlzs.com/5gX8B [უკანასკნელად შემოწმდა 11/09/2019].**

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- 2012 წელს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით, მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძეს დისციპლინური სახდელის სახით დაეკისრა შენიშვნა. სამართალწარმოების დაწყების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს მოსამართლის მიერ განცხადების განხილვის ვადების გაჭიანურება წარმოადგენდა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- კანდიდატი ვლადიმერ კაკაბაძე 1997-1998 წლებში იურიდიული კომპანია „რჩეულიშვილი და კომპანიის“ ადვოკატის თანაშემწე იყო. 1998-2006 წლებში იგი ააიპ „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის“ ადვოკატად მუშაობდა, ხოლო 2000-2006 წლებში იყო ააიპ „საქართველოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის“ იურისტი.
- 2006 წლის თებერვლიდან ივნისამდე ვლადიმერ კაკაბაძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატის სამდივნოს კონსულტანტი იყო.
- 2006 წლის აგვისტოში ვლადიმერ კაკაბაძე დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. 10-წლიანი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ იგი 3 წლის ვადით განწესდა იმავე პოზიციაზე, ხოლო 2017 წლიდან უვადოდ დაინიშნა ამავე თანამდებობაზე. 2019 წლის 15 ივლისიდან ვლადიმერ კაკაბაძე სამოსამართლო უფლებამოსილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში ახორციელებს.[1]

[1] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის #1/141 გადაწყვეტილებით, ვლადიმერ კაკაბაძე დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ 2019 წლის 15 ივლისიდან, იხ. http://bit.ly/2m6olcf, ამავე საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის #1/165 გადაწყვეტილებით, 2019 წლის 15 ივლისიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძე განწესდა სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, იხ http://bit.ly/2lFkvqg

- 12018 წლის 20 იანვრიდან ვლადიმერ კაკაბაძე არის მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი (არჩეულ იქნა 254 ხმით).

2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძეს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი ვლადიმერ კაკაბაძე ნასამართლევი არ ყოფილა.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო.
- 2014 წლის თებერვალში მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძე წარმოადგენდა მოსარჩელეს სახელშეკრულებო დავაში. მოსარჩელე ითხოვდა გადაცემული თანხის უკან დაბრუნებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. მოპასუხესთან მორიგების შედეგად ვლადიმერ კაკაბაძემ სარჩელი გამოიხმო.
- მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძე წარმოადგენდა მოსარჩელეს ბიზნესმენ ფადი ასლისთან დავაში. მოსამართლემ სარჩელი აღძრა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა მას კორუმპირებული უწოდა. მართალია, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლემ მოიგო დავა, თუმცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და უარი უთხრა მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.[1]

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძე არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- კანდიდატ ვლადიმერ კაკაბაძის კავშირი პოლიტიკოსებთან ან გავლენიან ადამიანებთან არ იკვეთება.

[1] ფადი ასლიმ სასამართლო დავა მოუგო მოსამართლეს, რომელსაც კორუმპირებული უწოდა იხ. http://bit.ly/2k8iXVt

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. ვლადიმერ კაკაბაძის მიერ სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატი არ იყენებს სოციალურ ქსელებს. მას არ აქვს როგორც პერსონალური პროფილი, ისე ოფიციალური, თანამდებობასთან დაკავშირებული გვერდი.

2. ვლადიმერ კაკაბაძის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები

ინტერნეტში ვლადიმერ კაკაბაძის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების სახით იძებნება მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისას გაცემული პასუხები.

3. კანდიდატ ვლადიმერ კაკაბაძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საბჭოს წევრის, სერგო მეთოფიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„დილემის შემთხვევაში, გამოიტანო კანონიერი ან სამართლიანი გადაწყვეტილება, რა გადაწყვეტილებას მიიღებთ?“**

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის პასუხი:

> **„იდეალურ შემთხვევაში, სამართლიანი გადაწყვეტილება და კანონიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს ერთმანეთის სინონიმი და კანონიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს ამავდროულად სამართლიანი გადაწყვეტილებაც... შეიძლება რაღაც საკითხებში ვარ უფრო კონსერვატიულად განწყობილი. შეიძლება, არ მომწონს როდესაც მოსამართლე იმდენად ფართოდ ახდენს ნორმის ინტერპრეტაციას, რომ მთლიანად უცვლის ნორმას შინაარსს. შეიძლება ეს ჩემთვის მთლად მისაღები არ იყოს. მე მაინც ვთვლი, თუ მოსამართლეს მიაჩნია, რომ რაღაც ნორმა ეწინააღმდეგება უზენაეს ღირებულებებს, კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ძირითად უფლებებს, ევროპის სასამართლოს მიერ გარანტირებულ ადამიანის ძირითად უფლებებს, სჯობს, მან კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს“.**

საბჭოს წევრმის, ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„თქვენ იმ ცნობილ დავაში, რაზეც დასაწყისში საუბრობდით,[1] მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში განსაზღვრეთ თანხა, 3,000 ლარი. რატომ ამ თანხად, რატომ არ განსაზღვრეთ სიმბოლურ თანხად ლარად, ან უფრო მეტად, როდესაც მოპასუხე მხარე იყო საკმაოდ შეძლებული?“**

---

[1] იგულისხმება მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის სარჩელი ბიზნესმენი ფადი ასლის წინააღმდეგ. სარჩელში წარმოდგენილი მოთხოვნები მოიცავდა ინფორმაციის უარყოფას, რომელიც მოსამართლის წინააღმდეგ გავრცელდა და ასევე შესაბამის კომპენსაციას. კერძოდ, ფადი ასლის მიერ მოსამართლის წინააღმდეგ გავრცელებულ განცხადებებში საუბარი იყო ვლადიმერ კაკაბაძის კორუმპირებულობაზე და ა.შ., ხელმისაწვდომია: https://www.bm.ge/ka/articl

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის პასუხი:

მე, თუ მეხსიერება არ მღალატობს 20,000 ლარს ვითხოვდი. 3,000 ლარი დაკმაყოფილდა. ამის რეცეპტი არ არსებობს. მე ასე შევაფასე, ჩემი ინდივიდუალური განცდებიდან, სულიერი ტკივილიდან გამომდინარე, რომელიც მომადგა ამ ფრაზების გავრცელების შემდეგ. ჩემი ინდივიდუალური შეფასებიდან გამომდინარე, დავადგინე, რომ 20,000 ლარი იყო მეტ-ნაკლებად ადეკვატური თანხა".

ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „რისთვის, კომპენსაციის, თუ მოპასუხე მხარის „დასასჯელად?"

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის პასუხი:

მოგეხსენებათ, კომპენსაციას ასევე აქვს პრევენციული დატვირთვაც, რომ ეს დარღვევა, შეცდომა აღარ განმეორდეს. ვფიქრობდი, რომ 20,000 ლარი ჩვენს რეალობაში არ არის მცირედი თანხა. შესაბამისად, ვინმეს რომ არ დარჩენოდა იმისი განცდა, რომ მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძეს უნდა ვიღაცის ხარჯზე გამდიდრება და დაუსაბუთებლად თანხის მიღება, ჩავთვალე, რომ 20,000 ლარი საკმარისი იყო პრევენციისათვის, რათა შემდეგ აღარ გაევრცელებინათ მოსამართლის მიმართ ამგვარი განცხადებები და, მეორე მხრივ, ეს ყოფილიყო ჩემი სულიერი განცდებისათვის ერთგვარი სამართლებრივი კომპენსაცია. თუმცა, არც ეს 20,000 ლარი იყო ადეკვატური, რადგან მე საკმაოდ დიდად მიღირს ჩემი ღირსება და პატივი. თუმცა, ყველაფრის გათვალისწინებით, ეს თანხა შევარჩიე".

ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „თქვენ (როგორც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს) თუ დაგეწერებათ ასეთი საქმე (ფადი ასლის საქმის მსგავსი), უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რა გადაწყვეტილებას მიიღებთ, გაიზიარებთ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, თუ, როგორც თქვენ დავობდით, იმის მიხედვით გადაწყვეტდით?"

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის პასუხი:

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმ ტიპის, იმ სახის, იმ ხარისხის შეურაცხყოფა, რომელიც ჩემთან მიმართებაში გავრცელდა, არის საერთშორისო აქტებით, ჩვენი კანონმდებლობით, სამოქალაქო წესით დასჯადი ქმედება და მას უნდა მოჰყვეს, რა თქმა უნდა, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილება, ვთქვათ, ფულადი კომპენსაცია, გონივრული თანხის დაკისრება და ასევე იმ ცნობების უარყოფა, რომელიც გავრცელდა".[2]

ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „ფადი ასლის სხვა საქმე რომ დაგეწეროთ, თქვენ როგორ ფიქრობთ, უნდა აიცილოთ? აიცილებთ ამ საქმეს?"

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის პასუხი:

გამომდინარე იმ ძალიან მაღალი ეთიკური სტანდარტიდან, რომლითაც მე ვხელმძღვანელობ ჩემს სამოსამართლო საქმიანობაში, რა თქმა უნდა, მე ამ საქმეს ავიცილებ. ვთვლი, რომ, სამოსამართლო ეთიკის წესებიდან, იგივე ბანგალორის პრინციპიდან გამომდინარე, ჩემი მოქმედება იქნება სწორი. შეურაცხყოფამ, რომელიც ჩემ მიმართ გაჟღერდა და ასევე ჩემმა

---

[2] აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2019 წლის აპრილში მიღებული გადაწ-ყვეტილებით შეცვალა ქვედა ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და არ დააკმაყოფი-ლა მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის სარჩელი - http://www.tabula.ge/ge/story/1475

შემდგომმა ნაბიჯმა, (მე ვიყავი მოსარჩელე და ის ადამიანი იყო მოპასუხე), მესამე პირის თვალში შეიძლება დატოვოს შთაბეჭდილება, რომ მე არ ვიქნები ობიექტური ამ საქმესთან დაკავშირებით“.

საბჭოს წევრის, ნაზი ჯანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„თუ გამოსულხართ მოსამართლეთა კონფერენციაზე სიტყვით და გითქვამთ განსხვავებული აზრი რომელიმე მიმდინარე საქმეზე?“**

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის პასუხი:

> **კონფერენციაზე, რამდენადაც მახსოვს, სიტყვით არ გამოვსულვარ. შესაძლოა ჩემი პიროვნების ძლიერი მხარე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობის მიღება არ იყოს, ამიტომ, არ გამოვსულვარ. რაც შეეხება განსხვავებულ მოსაზრებას, დამიკონკრეტეთ და გეტყვით. თუმცა, იმასაც გეტყვით, განსხვავებული მოსაზრება რომ მქონოდა და ეს მოსაზრება პრინციპული ყოფილიყო, რა თქმა უნდა, გამოვიდოდი და ვიტყოდი ამას, თუმცა, არ მქონია.“**

ნაზი ჯანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„როგორ შეაფასებდით ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეს?“**

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის პასუხი:

> **ერთი კვირის გადასული ვარ სააპელაციო სასამართლოში. ვერ მოვახერხე შეხვედრა. მანამდე ვიცნობდი, როგორც, ჩვეულებრივად, მოსამართლეს. კონფერენციებზე მყავს რამდენჯერმე ნანახი. ამით შემოიფარგლება ჩემი მასთან ნაცნობობა.“**

აღნიშნული შეკითხვის შემდეგ წამოჭრილი კამათისას, მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს მიმართა, რამდენად შესაძლებელი იყო არ ეპასუხა შეკითხვისათვის. გარდა ამისა, საუბრისას, მოსამართლემ ასევე მიმართა საბჭოს არამოსამართლე წევრ ნაზი ჯანეზაშვილს და უთხრა, რომ მას შეეძლო შეეკვეცა შეკითხვების რაოდენობა. მან აღნიშნა:

> **თქვენ სვამთ არაბუნებრივად ბევრ შეკითხვას სხვა წევრებთან შედარებით. ეს არის ჩემი დაკვირვება. რაღაც ბალანსი უნდა დაიცვათ, ალბათ. ამას წინათ შემხვდა ერთ-ერთი მოსამართლე, რომელმაც მითხრა, რომ არ შეიძლება მოწმის დაკითხვა 4 საათზე მეტხანს გაგრძელდესო. ეს ბალანსი უნდა დაიცვათ“.**

ნაზი ჯანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„მაინტერესებს არის თუ არა თქვენი ლიდერი ლევან მურუსიძე, ვინაიდან მან ჩვენთან გასაუბრებისას ახსენა, რომ იგი არის ლიდერი“.**

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის პასუხი:

> **„ბატონი ლევანი გახლავთ მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე და იგი არის სასამართლო სისტემის ერთ-ერთი ლიდერი. თუმცა. ამავდროულად ვიტყვი, რომ საბჭოს წევრები, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილები, ასევე არიან ლიდერები. ლიდერობა არ ნიშნავს, რომ ვიღაც ვინმეს კარნახობს, რა გადაწყვეტილება მიიღოს. თქვენც, როგორც საბჭოს წევრი, თქვენი სტატუსიდან გამომდინარე, თქვენც ხართ სასამართლო სისტემის ერთ-ერთი ლიდერი. მე ვთვლი, რომ ბატონი ლევანი, სხვა პირებთან ერთად, არის ლიდერი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იგი გარკვეულ გავლენას ახდენს სხვა პირებზე გადაწყვეტილებების მიღების კონტექსტში“.**

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძემ ლევან მურუსიძეზე საუბრისას, მის დადებით საქმიანობასთან მიმართებით, ასევე ახსენა, რომ მურუსიძე არის მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე, ხოლო ასოციაცია გამოსცემს ჟურნალს „მართლმსაჯულება და კანონი“.

აღნიშნულის შემდეგ, საბჭოს ნაზი ჯანეზაშვილმა ვლადიმერ კაკაბაძეს ჰკითხა, თუ ახსოვდა, ბოლოს როდის გამოიცა ჟურნალი. რის შემდეგაც კამათის დროს მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძემ აღნიშნა:

მე, როგორც მოსამართლე, რომელიც ვიცავ სხვის უფლებებს, მათ შორის ამ კონკურსშიც დავიცავ ჩემს უფლებებს. ეს ჩაკითხვითი სტილი და ეს ჩეკისტური სტილი ჩაკითხვების არ არის სათანადო ფორმა, ეს არის დაკითხვა! ეს არ არის გასაუბრება!“

ნაზი ჯანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „დავუშვათ, თქვენმა სასამართლოს თავმჯდომარემ, ამ შემთხვევაში სახელსა და გვარს არ ვგულისხმობ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ თქვენს კაბინეტში უნდა დაკიდოთ პრეზიდენტის სურათი, დაკიდებდით თუ არა ამ სურათს?“

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის პასუხი:

იმდენად ფანტასტიური შეკითხვაა, ქალბატონო ნაზი, რომ ამაზე არ ვთვლი საჭიროდ პასუხი გაგცეთ. ეს სიტუაცია საქართველოს რეალობას კი არა, ზოგადად, ობიექტურ რეალობას სცდება. მე ვერ წარმომიდგენია, სასამართლოს თავმჯდომარე მოვიდეს და მითხრას, რომ დაკიდეთ პრეზიდენტის სურათიო. მე ამ სიტუაციას ვერ წარმოვიდგენ. შესაბამისად, ეს არის ჩემი პასუხი“.

ნაზი ჯანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „იმ შემთხვევაში როგორ მოიქცეოდით, თუ პრეზიდენტის სურათი დაგხვდებოდათ კაბინეტში?“

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძემ აღნიშნა:

რომელი პრეზიდენტის, ამერიკის პრეზიდენტის, საქართველოს, მოქმედი თუ ყოფილი, სერიოზულად გეკითხებით ამას. ის, თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს უნდა ჰკითხოთ, პრეზიდენტის სურათი დაკიდოთ კაბინეტშიო, არ ვიცი. ამ საკითხზე კონკრეტულად არ მიფიქრია, დავტოვებდი თუ არა, თუმცა, პირველ რიგში, დავინტერესდებოდი, ვინ დაკიდა ჩემს პირად სივრცეში ეს ფოტო“.

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა კანდიდატს: „ევროსასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საჯარო მოხელის, მათ შორის მოსამართლის კაბინეტი წარმოადგენს მის კერძო სივრცეს თუ საჯარო სივრცეს?“

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის პასუხი:

მე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონკრეტული პრეცედენტი ევროპის სასამართლოს ამ საკითხთან მიმართებაში, გულწრფელად რომ გითხრათ, არ მახსენდება, თუმცა, ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოსამართლე ხელშეუხებელია, რაც გულისხმობს, რომ ხელშეუხებელია მისი სამუშაო ოთახი.მოსამართლეს ხომ განსხვავებული სტატუსი აქვს სხვა საჯარო მოხელეებთან შედრებით, შესაბამისად, მისი სამუშაო ოთახის ხელშეუხებლობაც არის დაცული. თუმცა, ჩემი ვარაუდით, იმ მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, რომელითაც ევროპის სასამართლო ხელმძღვანელობს, მათ შორის პირადი ცხოვრების და მათ შორის სამუშაო სივრცის დაცვასთან დაკავშირებით, მე მაინც ამ შეკითხვას ვუპასუხებდი რომ - კი, პირადი სივრცეა მისი სამუშაო კაბინეტიც. ვინაიდან ჩემ სამუშაო კაბინეტში ჩემი პირადი სივრცის და პიროვნების ამსახველი ნივთებიც მაქვს განლაგებული, აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ჩემი პირადი სივრცეა და ევროპის კონვენციით დაცული უფლების ქვეშ ექცევა“.

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2016
მშენებარე სახლი
თბილისში
67,000 ₾
(180 კვ.მ.)

1996
ბინა თბილისში
13,860 ₾
(17 კვ.მ.)

2014
ავტომობილი
9,328 ₾

მეუღლე

2016
ავტოფარეხი
თბილისში
18,31 კვ.მ

2014
მიწის ნაკვეთი
თბილისში
42,900 ₾,
380 კვ.მ

2011
კომერციული
ფართი თბილისში
52,480 ₾,
52,62 კვ.მ

2003
ბინა თბილისში
17,280 ₾
30 კვ.მ.

2014
ბინა თბილისში
51,563 ₾
77,87 კვ.მ.



2. ფინანსები

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძეს სამოსამართლო საქმიანობის შედეგად 2006-2018 წლებში შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 635,209 ლარი. ამასთანავე, აRსანიშნავია რომ, ამ პერიოდის განმავლობაში, მას არასოდეს განუხორციელებია სხვა საქმიანობა გარდა სამოსამართლო საქმიანობისა. სასამართლოში მუშაობის განმავლობაში ყველაზე მაღალი ანაზრაურება მოსამართლეს 2017 წელს უფიქსირდება 75,425 ლარის სახით.

კანდიდატის მეუღლე ლია გოჩიაშვილი 2010 წლიდან შპს "ნობელში" სხვადასხვა პოზიციას იკავებს. მისი საშუალო ყოველწლიური შრომის ანაზღაურება 29 000 ლარს შეადგენს. ყველაზე მაღალი შრომის ანაზღაურება კი 2012 წელს უფიქსირდება, როდესაც შპს ნობელში სავაჭრო წარმომადგენლის პოზიციაზე მუშაობის შედეგად 130,000 ლარის ოდენობით ხელფასი მიიღო.

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძეს უფიქსირდება სამი მიმდინარე სესხი, 35,000 ლარის, 60,000 აშშ დოლარისა და 25,000 აშშ დოლარის ოდენობით.

მცირედი პრობლემებია დეკლარაციის შევსების ნაწილში. 2014 წლის დეკლარაციისა და საჯარო რეესტრის მონაცემებით, ლია გოჩიაშვილს დედისგან საჩუქრად გადაეცა თბილისში მდებარე 45 კვმ ფართობის ბინა, რომლის ღირებულებაც 55000 აშშ დოლარი იყო. აღნიშნული ბინის მესაკუთრე თავად ანა გოჩიაშვილი 2000 წლიდან ფიქსირდება. 2014 წელსვე საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილება ფიქსირდება და ბინის ფართობი 77,87 კვ.მ-მდე იზრდება. შესაბამისად ამავე წელს 32.87 კვ.მ ფართობი თავად შეიძინა, რაშიც როგორც ბოლო წლების დეკლარაციებით ირკვევა, 23,500 აშშ დოლარი გადაიხადა. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2014 წლის დეკლარაციაში ეს ინფორმაცია მითითებული არ ყოფილა და მოგვიანებით გახდა ცნობილი.

ღია საზოგადოების ფონდი

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას